

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №7

2014 წლის 3 იანვარი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტი „განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნობაზე და სტაბილურობაზე პომიდვრის ახალი ჯიშის (*Lycopersicum esculentum* L) მიმართ მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების დამტკიცების შესახებ“

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 103-ე მუხლის პირველი, მეხუთე ნაწილების, 104-ე მუხლის მეორე ნაწილის, და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი „განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნობაზე და სტაბილურობაზე პომიდვრის ახალი ჯიშის (*Lycopersicum esculentum* L) მიმართ მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების შესახებ“.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნობაზე და სტაბილურობაზე პომიდვრის ახალი ჯიშის (*Lycopersicum esculentum* L) მიმართ მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2009 წლის 16 მარტის №2-65 ბრძანება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



**ტექნიკური რეგლამენტი „განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნობაზე და სტაბილურობაზე
პომიდვრის ახალი ჯიშის მიმართ (*Lycopersicum esculentum* L) მოთხოვნები და გამოცდის
მეთოდები“**

მუხლი 1. მეთოდის საგანი

აღნიშნული მეთოდიკა გამოყენებულ უნდა იქნეს პომიდვრის ყველა ჯიშისათვის.

მუხლი 2. საჭირო მასალები

1. „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული აკრედიტებული პირები წყვეტენ როდის, სად, რა რაოდენობისა და ხარისხის მცენარეული მასალა უნდა იქნეს წარდგენილი მცენარის ჯიშის გამოცდის ჩატარებისათვის. პირი, რომელიც წარადგენს მცენარეულ მასალას, ვალდებულია დაიცვას აკრედიტებული პირების მიერ დადგენილი პროცედურა და მოთხოვნები.

2. გამოსაცდელი ჯიშის მცენარეული მასალის მინიმალური რაოდენობა უნდა შეადგენდეს:

ა) ვეგეტატურად გასამრავლებელი ჯიშებისათვის – დახურული გრუნტის პირობებში გამოცდისათვის 25 მცენარე, ღია გრუნტის პირობებში გამოცდისათვის 50 მცენარე;

ბ) თესლით გასამრავლებელი ჯიშებისათვის 10 გრამი ან 2500 ცალი თესლი.

3. გამოცდისათვის გადაცემული მცენარეული მასალის ხარისხობრივი მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს აღმოცენებადობის, თესლის სიწმინდის, მავნებელ-დაავადებებით დასნეოვნების და ტენიანობის დადგენილ ნორმებს, ამასთან, სასურველია, რომ თესლის აღმოცენების უნარი იყოს მაღალი.

4. ჯიშის გამოსაცდელად აკრედიტებული პირებისათვის მიწოდებული მცენარეული მასალა ქიმიური საშუალებებით არ უნდა იყოს დამუშავებული, თუ ამას არ მოითხოვენ აკრედიტებული პირები, ასეთ შემთხვევაში მცენარეულ მასალას თან უნდა ერთვოდეს ქიმიური საშუალებებით დამუშავების მეთოდის დაწვრილებითი აღწერა.

მუხლი 3. გამოცდის მიმდინარეობა

1. გამოცდის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს ორ სავეგეტაციო პერიოდს.

2. მინდვრის კვლევა უნდა ჩატარდეს ერთ ადგილზე, ხოლო თუ ამ ადგილზე შეუძლებელია ჯიშის რომელიმე ნიშან-თვისების გამოკვლევა, მაშინ გამოცდა უნდა ჩატარდეს აგრეთვე დამატებით ადგილზე.

3. მინდვრის კვლევა უნდა ჩატარდეს მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარების პირობებში. მიწის დანაყოფის ფართობი უნდა შეირჩეს იმგვარად, რომ სავეგეტაციო პერიოდის ბოლომდე ჩასატარებელ დაკვირვებას და აღრიცხვას ხელი არ შეეშალოს.

4. ყოველ სავეგეტაციო პერიოდში დახურული გრუნტის პირობებში დაკვირვება ტარდება 20 მცენარეზე, ღია გრუნტის პირობებში 40 მცენარეზე, კვლევა ტარდება ორ განმეორებად.

მუხლი 4. მეთოდები და დაკვირვება

1. ყველა სახის დაკვირვება, რომელიც ითვალისწინებს გაზომვას, აწონვას და სხვა ანათვლების აღებას, წარმოებს 20 მცენარეზე ან ამ 20 მცენარიდან აღებულ ნაწილებზე.

2. ერთგვაროვნების შეფასებისათვის საჭიროა 1% პოპულაციური სტანდარტის გამოყენება. მიღებული ალბათობა უნდა შეადგენდეს 95%. ამ შემთხვევაში 20 მცენარიდან არატიპური დასაშვებია იყოს ერთი, 40 მცენარიდან არატიპური დასაშვებია იყოს არა უმეტეს 2.

3. როდესაც რეზისტენტობის მახასიათებელი გამოიყენება განსხვავებულობის, ერთგვაროვნებისა და სტაბილურობის შესაფასებლად, მონაცემები აღებული უნდა იყოს ათი მცენარიდან კონტროლირებადი დაინფიცირების პირობებში, თუ სხვა წესი არ არის დადგენილი.

4. ყველა დაკვირვება გრძელდება ნაყოფის სრულ სიმწიფემდე.

მუხლი 5. ჯიშების დაჯგუფება

1. განსხვავებულობის შესაფასებლად ჯიშების კოლექცია შეიძლება დაიყოს ჯგუფებად. ჯიშების დაჯგუფებისათვის გამოიყენება ისეთი ნიშან-თვისებები, რომლებიც ცდაში არ ცვალებადობს, ან ცვალებადობა უმნიშვნელოა და კოლექციაში წარმოდგენილია თანაბრად.

2. ჯიშის დახასიათებისთვის რეკომენდებულია შემდეგი ნიშან-თვისებების გამოყოფა:

- ა) მცენარე: ზრდის ტიპი (ნიშან-თვისება 2);
- ბ) ფოთოლი: განკვეთილი (ნიშან-თვისება 9);
- გ) ყვავილის ყუნწი: განცალკევებული შრე (ნიშან-თვისება 20);
- დ) ნაყოფი: ფორმა სიგრძივი კვეთისას (ნიშან-თვისება 24);
- ე) ნაყოფი: კამერის (ბუდის) რაოდენობა (ნიშან-თვისება 33);
- ვ) ნაყოფი: მწვანე ლაქიანობა (სიმწიფის წინ) (ნიშან-თვისება 34);
- ზ) ნაყოფი: შეფერილობა სიმწიფისას (ნიშან-თვისება 38).

მუხლი 6. ნიშან-თვისებები და აღნიშვნები

1. განსხვავებულობის, ერთგვაროვნების და სტაბილურობის შესაფასებლად გამოყენებული ნიშნები მოცემულია ცხრილში.

2. შედეგების ელექტრონული დამუშავებისათვის ნიშან-თვისებების გამოკვეთილობის სიდიდეებს მინიჭებული აქვს ინდექსები (1-9).

3. ნიშნები:

ა) ნიშანი (*) მიუთითებს, რომ მოცემული ნიშან-თვისება უნდა აღინიშნებოდეს ყოველ სავეგეტაციო პერიოდში ყველა ჯიშის შესაფასებლად და ყოველთვის ჩართულ იქნეს ჯიშის აღწერილობაში, იმ შემთხვევის გამოკლებით, როცა წინამორბედი ნიშნის გამოკვეთის ხარისხი უფრო მეტად მიუთითებს მის არარსებობას ანდა როცა გარემო პირობების გამო ამის გაკეთება შეუძლებელია;

ბ) ნიშანი (+) მიუთითებს, რომ ნიშან-თვისების აღწერილობას მეთოდულ კაში თან ახლავს მე-7 მუხლში დამატებითი ახსნა-განმარტებები.

მუხლი 7. ნიშან-თვისებების ცხრილი

NN UPOV	ნიშან-თვისება	გამოხატვის ხარისხი	ჯიშ-ეტალონი	ინდექსი
1. (*)	ნათესარი: ანტოციური შეფერვა	არ გააჩნია გააჩნია	Montfayet H 63.4	1 9
2. (*) (+)	მცენარე: ზრდის ტიპი	დეტერმინანტული ინდეტერმინანტული	Campbell 1327, Prisca Marmandes VR, Saint- Pierre, San Marzano 2	1 2
3.	მხოლოდ დეტერმინანტული ჯიშები: მცენარე: მუხლთაშორის რიცხვი მთავარ ღეროზე (გვერდითი ღეროები შორდება)	მცირე საშუალო რაოდენობა ბევრი	Campbell 1327 Montfayet H 63.4 Prisca	3 5 7
4. (+)	ღერო: ანტოციური შეფერვა ზედა ნაწილში	არ გააჩნია ან ძალიან სუსტია სუსტი საშუალო ძლიერი ძალიან ძლიერი	Montfayet H 63.5 Rondello Grinta, Nemato	1 3 5 7 9
5. (+)	მხოლოდ ინდეტერმინანტი ჯიშები; ღერო: მუხლთაშორისების სიგრძე 1 და 4 ყვავილედი	მოკლე საშუალო სიგრძის გრძელი	Trend, Dombito, Manific, Paso Montfayet H 63.5 Berdy, Calimero	3 5 7
6. (*)	ფოთოლი: მდებარეობა (ყოველი მესამე მცენარიდან საშუალო)	წამოწეული ჰორიზონტალური	Allround, Drakar, Vitador Triton, Aromata	3 5

NN UPOV	ნიშან-თვისება	გამოხატვის ხარისხი	ჯიშ-ეტალონი	ინდექსი
		დახრილი	Montfayet H 63.5	7
7. (*)	ფოთოლი: სიგრძე	მოკლე საშუალო სიგრძის გრძელი	Nelson, Red Robin, Tiny Tim Lorena Montfayet H 63.5	3 5 7
8. (*)	ფოთოლი: სიგანე	წვრილი საშუალო სიგანის განიერი	Marmande VR, Tiny Tim, Red Robin Saint-Pierre	3 5 7
9. (*)	ფოთოლი: განკვეთილი	ფრთისებრი ორმაგფრთისებრი	Pilot, Red Jacket, Mikado Lukullus, Saint-Pierre	1 2
10. (+)	ფოთოლი: ფოთოლაკის ზომა ფოთლის შუა მესამედში	ძალიან წვრილი წვრილი საშუალო ზომის მსხვილი ძალიან მსხვილი	Minitom Tiny Tim Marmande VR, Royesta Daniela, Hynema Dombo	1 3 5 7 9
11.	ფოთოლი: მწვანე ფერის ინტენსივობა	ნათელი საშუალო მუქი	Macero II, Rossol, Poncette Lucy Allround, Lorena, Red Robin, Daniela	3 5 7
12.	ფოთოლი: ლანცეტისებური (მცენარის სამ მესამედში)	სუსტი საშუალო ძლიერი	Daniela Marmande VR Guindilla	3 5 7
13.	ფოთოლი: გოფირებული (მცენარის სამ. მესამედში)	სუსტი საშუალო ძლიერი	Daniela Marmande VR Delfine, Tiny Tim	3 5 7
14.	ფოთოლი: გოფირების ხარისხი	წვრილი საშუალო მსხვილი	Husky Cherrie Red Marmande VR Daniela, Egéris	3 5 7
15. (+)	ფოთოლი: ფოთოლაკის ყუნწის ღერძის მდებარეობის ფარდობითობა ცენტრალური ღერძისადმი (მცენარის საშუალო მესამედში)	წამოწეული ჰორიზონტალური დახრილი	Blizzard, Marmande VR Sonatine Montfayet H 63.5	3 5 7
16.	ყვავილედი: (მე-2 და მე-3 მტევანი)	მარტივი შუალედური რთული	Dynamo Harzfeuer Marmande VR	1 2 3
17.	ყვავილი: (პირველი ყვავილი ყვავილედი- დან)	არ გააჩნია გააჩნია	Monalbo, Moneymaker Marmande VR	1 9
18. (+)	ყვავილი: შებუსუსი ბუტკო	არ გააჩნია გააჩნია	Campbell 1327 Saint-Pierre	1 9
19. (*)	ყვავილი: შეფერილობა	ყვითელი ნარინჯისფერი	Marmande VR Pericherry	1 2
20. (*) (+)	ყვავილის ყუნწი: განცალკევებული შრე	არ გააჩნია გააჩნია	Aledo, Bandera, Count, Lerica Montfayet H 63.5, Roma	1 9
21. (*) (+)	მხოლოდ განცალკე- ვებული ჯიშებისათ- ვის. ყვავილის ყუნწი: (გან- ცალკევებული შრიდან ჯამამდე)	მოკლე საშუალო გრძელი	Cerise, Montfayet H 63.18, Rossol, Ferline Dario, Primosol Erlidor, Ramy, Ranco	3 5 7
22. (*)	ნაყოფი: ზომა	ძალიან წვრილი	1	

NN UPOV	ნიშან-თვისება	გამოხატვის ხარისხი	ჯიშ-ეტალონი	ინდექსი
		წვრილი საშუალო ზომის მსხვილი ძალიან მსხვილი	3 5 7 9	
23. (*)	ნაყოფი: ფორმის ინდექსი	ძალიან პატარა პატარა საშუალო დიდი ძალიან დიდი	Campbell 28, Marmande VR Alicia Early Mech, Peto Gro Rio Grande, Rimone Macero II, Elko	1 3 5 7 9
24. (*) (+)	ნაყოფი: გრძივი კვეთის ფორმა	ბრტყელი მრგვალად ბრტყელი მრგვალი კუბისებრი ცილინდრული ელიფსური გულისებრი უკუკვერცხისებრი კვერცხისებრი მსხლისებრი	Campbell 28, Marmande VR Montfavit H 63.5, Montfavit H 63.4 Cerise Money-maker Early Mech, Peto Gro Hypeel 244, Macero II, San Marzano 2 Alcaria, Castone Valenciano Barbara Rimone, Rio Grande Europeel	1 2 3 4 5 6 7 8 9 10
25. (*)	ნაყოფი: ნაყოფის ყუნწის წიბო	არ გააჩნია ან ძალიან სუსტია სუსტი საშუალო ძლიერი ძალიან ძლიერი	Calimo, Cerise Early Mech, Hypeel 244, Melody, Peto Gro, Rio Grande Montfavit H 63.5, Montfavit H 63.4 Campbell 1327, Carmello, Count Costeluto Fiorentino, Marmande VR	1 3 5 7 9
26.	ნაყოფი: განივი კვეთი	არამრგვალი მრგვალი	Ranco, San Marzano Cerise, Ferline, Rondello	1 2
27. (+)	ნაყოფი: ნაყოფის ყუნწის სიღრმე	არ გააჩნია ან ძალიან სუსტია სუსტი საშუალო ღრმა ძალიან ღრმა	Europeel, Heinz 1706, Rossol Sweet Baby Futura, Melody Carmello, Count, Fandango, Saint-Pierre Ballon Rouge, Marmande VR	1 3 5 7 9
28.	ნაყოფი: ნაყოფის ყუნწის მიმაგრების ადგილის ზომა	ძალიან პატარა პატარა საშუალო ზომის დიდი ძალიან დიდი	Cerise, Heinz 1706, Sweet Baby Early Mech, Peto Gro, Rio Grande Montfavit H 63.5, Montfavit H 63.4 Apla, Campbell 1327, Carmello, Fandango, Flora Dade Marmande VR	1 3 5 7 9

NN UPOV	ნიშან-თვისება	გამოხატვის ხარისხი	ჯიშ-ეტალონი	ინდექსი
29.	ნაყოფი: საყვავილე კვირტის ნაჭდევის ზომა (წვერის ქერქზე წინწკლის ზომა)	ძალიან წვრილი წვრილი საშუალო დიდი ძალიან დიდი	Cerise, Early Mech, Peto Gro, Rio Grande, Europeel, Heinz 1706 Montfaret H 63.5, Montfaret H 63.4 Alphamech, Apla, Carmello, Flora Dade Campbell 1327, Count, Marmande VR, Saint-Pierre	1 3 5 7 9
30. (+)	ნაყოფი: წვერის ფორმა	ჩაღრმავებული ჩაღრმავებულიდან სწორამდე სწორი სწორიდან წაწვეტებამდე წაწვეტებული ამობურცული	Marmande VR, Super Mech Montfaret H 63.5, Montfaret H 63.4 Cal J, Early Mech, Peto Gro Europeel, Heinz 1706, Hypeel 244, Roma VF Бычье сердце	1 2 3 4 5 6
31.	ნაყოფი: პლაცენტას ზომა გარდიგარდმო განაჭერზე (მთლიანი დიამეტრის შესატყვისი)	ძალიან წვრილი წვრილი საშუალო მრგვალი ძალიან მრგვალი	Cerise Early Mech, Europeel, Heinz 1706, Peto Gro, Rio Grande, Rossol Montfaret H 63.5, Montfaret H 63.4 Apla, Campbell 1327, Carmello, Count, Fandango, Flora Dade Marmande VR, Valenciano	1 3 5 7 9
32.	ნაყოფი: კედლის სისქე	ნაზი საშუალო სისქის მსხვილი	Marmande VR Carmello, Europeel, Flora Dade, Heinz 1706, Montfaret H 63.5 Cal J, Ferline, Peto Gro, Rio Grande, Daniela	3 5 7
33. (*)	ნაყოფი: საკნის (ბუდის) რიცხვი	ორი ორი ან სამი სამი ან ოთხი ოთხი, ხუთი ან ექვსი ექვსზე მეტი	Early Mech, Europeel, San Marzano Alphamech, Futuria Montfaret H 63.5 Raissa, Tradiro Marmande VR	1 2 3 4 5
34. (*)	ნაყოფი: მწვანე წინწკალი დასაწყისში (სიმწიფის წინ)	არ გააჩნია გააჩნია	Rio Grande, Felicia, Trust Montfaret H 63.5, Daniela	1 9
35. (*)	მხოლოდ დაწინწკლული ჯიშები. ნაყოფი: მწვანე წინწკალის ზომა დასაწყისში	პატარა საშუალო ზომის დიდი	Cristy, Firectone Erlidor, Foxy, Montfaret H 63.5 Cobra, Delisa, Epona, Manific	3 5 7
36. (*)	მხოლოდ დაწინწკლული ჯიშები: მწვანე შეფერილობის წინწკალის სიმუქე სიმწიფის დასაწყისში	სუსტი საშუალო ძლიერი	Juboline Montfaret H 63.5 Erlidor, Xenon, Ayala	3 5 7

NN UPOV	ნიშან-თვისება	გამოხატვის ხარისხი	ჯიშ-ეტალონი	ინდექსი
37. (*)	სიმწიფემდე მწვანე შეფერილობის ინტენსივობა	სუსტი საშუალო ძლიერი	Capello, Duranto, Trust Rody Ayala, Tatiana, Uragano	3 5 7
38. (*)	ნაყოფი: შეფერილობა სიმწიფისას	კრემისფერი ყვითელი ნარინჯისფერი ვარდისფერი წითელი მოყავისფრო ნარინჯისფერ-წითელი ჟოლოსფერი იისფერ-ყავისფერი	Jazon, White Mirabell Goldene Königin, Yellow Pear Sungold House Momotaro Ferline, Montfaret H 63.5, Daniela Ozyrys	1 2 3 4 5 6 7 8 9
39. (*)	ნაყოფი: რბილობის შეფერილობა (სიმწიფისას)	კრემისფერი ყვითელი ნარინჯისფერი ვარდისფერი წითელი მოყავისფრო	Jazon Jubilée Sungold Regina Ferline, Saint-Pierre Ozyrys	1 2 3 4 5 6
40. (*) (+)	ნაყოფი: სიმკვრივე	ძალიან რბილი რბილი საშუალო სიმკვრივის მაგარი ძალიან მაგარი	Marmande VR Trend Cristina Fernova, Konsul, Tradiro Daniela, Karat, Lolek	1 3 5 7 9
41. (+)	ნაყოფი: მწიფე ნაყოფების შენახვის ვადა	ძალიან მოკლე მოკლე საშუალო ხანგრძლივობის გრძელი ძალიან გრძელი	Marmande VR Rambo Durinta Daniela Ernesto	1 3 5 7 9
42. (+)	ყვავილობის დრო	ადრეული საშუალო გვიანი	Feria, Primabel Montfaret H 63.5, Prisca Manific, Saint-Pierre	3 5 7
43. (*)	სიმწიფის დრო	ძალიან ადრეული ადრეული საშუალო გვიანი ძალიან გვიანი	Sungold, Sweet Baby, Dolcevit Feria, Rossol Montfaret H 63.5 Manific, Saint-Pierre Daniela	1 3 5 7 9
44.	ნაყოფი: მშრალი ნივთიერების შემცველობა	დაბალი (<5%) საშუალო(5-6%) მაღალი (>6%)	Bonset Coudoulet, Aloha	3 5 7
45. (+)	მიმღებლობა ფოთლის ვერცხლისფერიანობის გამოვლ. მიმართ.	არ გააჩნია გააჩნია	Marathon, Sano Sonatine	1 9
46. (+)	გამძლეობა სამხრეთული ნემატოდისადმი (<i>Meloidogyne incognita</i>)	არ გააჩნია გააჩნია	Casaque Rouge, Clairvil Anabel, Anahu	1 9
47. (*) (+)	გამძლეობა ვერტიცილიოზისადმი (<i>Verticillium dahliae</i>) –რასა 0	არ გააჩნია გააჩნია	Anabel, Marmande verte Clairvil, Marmande VR	1 9
48. (+)	გამძლეობა ფუზარიოზული			

NN UPOV	ნიშან-თვისება	გამოხატვის ხარისხი	ჯიშ-ეტალონი	ინდექსი
	ჭკნობისადმი (<i>Fusarium oxysporum</i> f. sp. <i>lycopersici</i>):			
ა) (*)	- რასა 0 (ex 1)	არ გააჩნია გააჩნია	Marmande verte Anabel, Marporum, Marsol	1 9
ბ)(*	- რასა 1 (ex 2)	არ გააჩნია გააჩნია	Marmande verte Motelle, Walter	1 9
49. (+)	გამძლეობა წვერის და ფესვისეული სიდამპლისადმი (<i>Fusarium oxysporum</i> f. sp. <i>radicis lycopersici</i>)	არ გააჩნია გააჩნია	Motelle Momor	1 9
50. (+)	გამძლეობა ფოთლების მუქი ლაქიანობისადმი (<i>Cladosporium fulvum</i>):			
ა)	- რასა 0	არ გააჩნია გააჩნია	Monalbo Angela, Estrella, Sonatine, Sonato, Vemone	1 9
ბ)	- ჯგუფი ა	არ გააჩნია გააჩნია	Monalbo Angela, Estrella, Sonatine, Sonato	1 9
გ)	- ჯგუფი ბ	არ გააჩნია გააჩნია	Monalbo Angela, Estrella, Sonatine, Sonato, Vemone	1 9
დ)	- ჯგუფი გ	არ გააჩნია გააჩნია	Monalbo Angela, Estrella, Sonatine	1 9
ე)	- ჯგუფი დ	არ გააჩნია გააჩნია	Monalbo Angela, Sonatine, Vemone	1 9
ვ)	- ჯგუფი ე	არ გააჩნია გააჩნია	Monalbo Sonatine	1 9
51. (+)	გამძლეობა თამბაქოს ვირუსული მოზაიკისადმი:			
ა)	პათოტიპი 0	არ გააჩნია გააჩნია	Monalbo Mobaci, Mocimor, Moperou	1 9
ბ)	პათოტიპი-1	არ გააჩნია გააჩნია	Monalbo Mocimor, Moperou	1 9
გ)	პათოტიპი-2	არ გააჩნია გააჩნია	Monalbo Mobaci, Mocimor	1 9
დ)	- პათოტიპი 1-2	არ გააჩნია გააჩნია	Monalbo Lucy, Mocimor, Momor, Rapids	1 9
52. (+)	გამძლეობა ფიტოპტორასადმი (<i>Phytophthora infestans</i>)	არ გააჩნია გააჩნია	Heinz 1706, Saint-Pierre Heline, Pieraline, Pyros	1 9
53. (+)	გამძლეობა ფესვის გაკორპებისადმი (<i>Pyrenochaeta lycopersici</i>)	არ გააჩნია გააჩნია	Montfaret H 63.5 Kyndia, Moboglan, Pyrella	1 9
54. (+)	გამძლეობა ფოთლების რუხი ლაქიანობისადმი (<i>Stemphylium</i> spp.)	არ გააჩნია გააჩნია	Monalbo Motelle	1 9
55. (+)	გამძლეობა ფოთლების ბაქტერიული ლაქიანობისადმი (<i>Pseudomonas syringae</i> pv. Tomato)	არ გააჩნია გააჩნია	Monalbo Ontario 7710	1 9
56. (+)	გამძლეობა ბაქტერიული	არ გააჩნია	Floradel	1

NN UPOV	ნიშან-თვისება	გამოხატვის ხარისხი	ჯიშ-ეტალონი	ინდექსი
	ჭკნობისადმი (<i>Ralstonia solanacearum</i>) – რასა 1	გააჩნია	Caraïbo	9
57. (+)	მდგრადობა პომიდორის ყვითელი ფოთლის ნაგალობის, ქონდრულობისადმი	არ გააჩნია გააჩნია	Montfayet H 63.5 TY 20, Anastasia, Mohawk	1 9
58. (+)	მდგრადობა ბრინჯაოსფერი დაფერილობისადმი (ლაქების ჭკნობა)	არ გააჩნია გააჩნია	Montfayet H 63.5 Lisboa	1 9
59. (+)	მდგრადობა ნაცრის გამომწვევი სოკოებისადმი (<i>Leveillula taurica</i>)	არ გააჩნია გააჩნია	Montfayet H 63.5 Atlanta	1 9
60. (+)	მდგრადობა ნაცრისადმი (<i>Oidium lycopersi</i>)	არ გააჩნია გააჩნია	Montfayet H 63.5 Romiro	1 9

მუხლი 8. დაკვირვების მიმდინარეობის ახსნა და მეთოდები

1. მცენარე – ზრდის ტიპი:

ა) ზრდის ტიპი კონტროლდება ერთი მონოალელური გენით (self-pruning +/- self-pruning -);

ბ) დეტერმინანტული (1) – ეს ტიპი კონტროლდება რაცესიული ალელით self-pruning – (Sp -). მას წარმოექმნება განსაზღვრული რიცხვი ყვავილედის (2-4, ზოგჯერ-6). მთავარი ღეროს სიმაღლე იზღუდება ყვავილედით და მას არ წარმოექმნება გვერდითი ნაზარდები (ნამხრევები). ყველა გვერდითი ნაზარდები აგრეთვე მთავრდება ყვავილედით და ამის შედეგად წარმოიქმნება ძლიერ დატოტვილი დაბალი ბუჩქი;

გ) ეს ჯგუფი მოიცავს ზოგიერთ ნახევრად დეტერმინანტულ ჯიშებს, რომელთაც არ გააჩნიათ სამი ფოთოლი ან მუხლთაშორისი ყვავილედებს შორის და ხასიათდებიან შეზღუდული ზრდით, მაგალითად, ღეროს სიმაღლის შეწყვეტა მეცხრე ყვავილედის დონეზე(ტიპი «Prisca») ან მაღლა(ტიპი Early Pach);

დ) ინდეტერმინანტული (2): ამ ტიპს უპირატესად აკონტროლებს დომინანტი ალელი self-pruning + (Sp +). მოცემულ ტიპში სამ ფოთოლს ან მუხლთაშორისს აკვირდებიან ყვავილედებს შორის. ყოველი მტევანი წარმოქმნის სამ კვირტს, ბოლო კვირტი ფორმირდება ყვავილედის კვირტიდან, ორიდან ერთი ილლიის კვირტი ფორმირდება გვერდითი ნაზარდით, რომელიც წარმოქმნის შემდეგ სამ კვირტს და ახორციელებს ღეროს ზრდას. ამ ტიპის მცენარეები იზრდებიან ზრდის ამ მოდელის ხანგრძლივი განმეორებით;

ე) ინდეტერმინანტული ტიპის განსაზღვრული ჯგუფის ჯიშებზე (მაგალითად: ჯიშები წარმოშობილი ჯიშიდან «Daniela»).უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ორი ფოთოლი ან მუხლთაშორისი შეიძლება წარმოიქმნას ყვავილედებს შორის მცენარეზე რამდენიმე ადგილას;

ვ) ჯიშები Marmande, San Marzano და Costoluto Fiorentino უნდა განთავსდნენ ინდეტერმინანტულ კლასში დეტერმინანტსა და ინდეტერმინანტს შორის, მათ ყოველთვის აქვთ ყვავილედებს შორის სამი ფოთოლი და მუხლთაშორისი. ამიტომ ისინი შეიძლება განისაზღვრონ ინდეტერმინანტული ტიპით.

2. ღერო – ანტოციური შეფერვა უმაღლეს მესამედში: ჯიშების უმრავლესობა განაწილდება 1-დან 5-მდე. ანტოციანის გამოვლენა დამოკიდებულია დღის ტემპერატურაზე. დახურული გრუნტის პირობებში ვარირება საკმაოდ დაბალია, თუ არა ჯიშ ცტმ-2-ის ალელი, რომელიც შეუღლებულია ღეროს ანტოციანით (ძირითადად მუხლთაშორის).

3. ინდეტერმინანტი ჯიში – ღერო – მუხლთაშორისი სიგრძე 1 და 4 ყვავილედს შორის.

4. ზოგიერთი გენოტიპის გარდა ინდეტერმინანტ ჯიშებს გააჩნიათ სამი მუხლთაშორისი ყვავილედებს შორის (იხილეთ მე-2 ნიშან-თვისების ახსნა). ეს იმას ნიშნავს, რომ საერთოდ არ არსებობს 12 მუხლთაშორისი პირველ და მეოთხე ყვავილედებს შორის. იზომება სიგრძე 1-ლ და

მე-4 ყვავილედებს შორის და ისაზღვრება მუხლთაშორისების რიცხვი (ჩვეულებრივ 12) მუხლთაშორისის სიგრძის საშუალო მნიშვნელობის მისაღებად საჭიროა გამოითვალოს დამოკიდებულება ღეროს სიგრძესა და მუხლთაშორისის რიცხვს შორის. დაკვირვება მიმდინარეობს შემდეგ სტადიებში – ღია გრუნტის ჯიშებისათვის განკუთვნილია ერთი გახსნილი ფოთოლი მე-5 და მე-6 ყვავილედებს შორის. სათბურის სიმაღლეზე დამოკიდებულებით ერთი გახსნილი ფოთოლი მცენარის მე-7-დან მე-12 ყვავილედის ზევით.

5. ფოთოლი: ფოთოლაკის ზომა ფოთლის საშუალო მესამედში




ფოთოლაკი შუა
ფოთოლზე



6. ფოთოლი: ფოთოლაკის ყუნწის მდებარეობა ცენტრალური ღერძისადმი მცენარის საშუალო მესამედში.

ყუნწი

მთავარი ყუნწი



3	5	7
წამოწეული	ჰორიზონტალური	დახრილი

7. ყვავილი: ზოგიერთ შეუბუსავ ჯიშს შეიძლება ჰქონდეს იშვიათი ან სუსტად შებუსუსებული ბუტკო.

8. ყვავილედის ყუნწი: განმაცალკევებელი შრე.



1

არ გააჩნია



9

გააჩნია

ჯიშებს, რომელთაც გააჩნიათ მხოლოდ ყელი (რკალი) განმაცალკევებელი შრის ნაცვლად (გენის მიხედვით ჰეტეროზიგოტა, კონტროლირებადი შერეობით) გამოიყურებიან ღარის გარეშე (არ გააჩნია 1).

9. მხოლოდ იმ ჯიშების მცენარეებისათვის, რომელთაც გააჩნიათ ყვავილის ყუნწის განმაცალკევებელი შრე.

ყვავილის ყუნწის სიგრძე განმაცალკევებელი შრიდან ჯამამდე:



განმაცალკევებელი შრე

ნიშან-თვისებების გამოხატვის უნარი შეესაბამება შემდეგ საშუალო მნიშვნელობებს, მმ:

გამოხატვის ხარისხი	სიგრძე	ინდექსი
მოკლე	7-9	3
საშუალო	9-14	5
გრძელი	14-18	7

10. გრძივი კვეთის ფორმა:



1
ბრტყელი



2
მრგვალად ბრტყელი



3
მრგვალი



4
კუბისებრი



5
ცილინდრული



6
ელიფსური



7
გულისებრი



8
უკუკვერცხისებრი



9
კვერცხისებრი



10
მსხლისებრი

11. ნაყოფი: ნაყოფის ყუნწის სიღრმე



1
არ გააჩნია ან ძალიან
სუსტია



3
სუსტი




5
საშუალო



7
ღრმა

12. ნაყოფი: წვერის ფორმა



13. ნაყოფი – სიმკვრივე: ნაყოფები იკრიფება მწიფე, როცა არის ბოლომდე წითელი. ნაყოფის სიმკვრივე დგინდება წვერიდან და ადარებენ ეტალონ ჯიშებს.

14. ნაყოფი: მწიფე ნაყოფების შენახვის პერიოდი ფასდება კვირის რიცხვის მიხედვით, რომლის განმავლობაში ნაყოფები ინარჩუნებენ სასაქონლო ხარისხს და გარეგნულ სახეს. 12 ნაყოფი განმეორებიდან (ყოველი მე-2 მცენარიდან) შეირჩევა ერთნაირი სიმწიფის 3-6 მტევნიდან (მურა ფერის). ნაყოფი ეწყობა ყუთში ფენებად. ყუთების დაწყობა ერთმანეთზე შეიძლება, თუ ყუთებს შორის შენარჩუნდება ჰაერის ცირკულაცია. საწყობში უნდა შენარჩუნდეს ოპტიმალური პირობები. ყოველ მე-7 დღეს დაზიანებული ნაყოფები გამოცალკევდება. დაკვირვება მიმდინარეობს ნაყოფის სასაქონლო თვისებების დაკარგვამდე. დაკვირვება წყდება მე-8 კვირას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნაყოფს შეუნარჩუნდა სასაქონლო თვისებები.

15. ყვავილობის დრო ფასდება ინდეტერმინანტი ჯიშების ყოველი მცენარის ყვავილედის მესამე ყვავილის მეორე და მესამე მტევნის ყვავილობის ხანგრძლივობით. დანაყოფზე რეგისტრირდება ყვავილობის დრო. დეტერმინანტული ჯიშების ფორმირება ხდება სარზე (კოლებზე) და ყვავილობის დრო აღინიშნება იმავე წესით, როგორც ინდეტერმინანტ ჯიშებზე. მცენარის დატოტიანების გამო (ნამხრევების წარმოქმნა) აღნიშნულ ნიშან-თვისებაზე დაკვირვება წარმოებს აკვრის პირობებში.

16. ფოთლების ვერცხლისფერი შეფერილობის შეფასება ხდება ზრდასრულ მცენარეზე დაკვირვებით:

ა) ტესტის მიმდინარეობა:	რამდენადაც ვერცხლიანობა გვხვდება პომიდორის კულტურაში არასაკმარისი სინათლისა და სითბოს დროს;
ბ) თესვა:	მოკლე დღის პირობებში (ნოემბერი-დეკემბერი სამხრეთ ევროპაში) ნორმალურია თესვა ნიადაგში ან ხელოვნურ გარემოში სათბურში;
გ) ტემპერატურა:	დღის მაქსიმალური ტემპერატურა 18°C;
დ) განათება:	დღის ნორმალური განათება;
ე) მოყვანის მეთოდი:	არ არის სპეციალური მეთოდი;
ვ) ტესტის ხანგრძლივობა:	4-5 თვე;
ზ) გამოსაცდელი მცენარის რიცხვი:	მინიმუმ 20;
თ) დაკვირვების გამოხატვის ხარისხი:	დაკვირვება მიმდინარეობს ფოთოლზე ვერცხლისფერი სიმკტომის გამოვლენის მიზნით
ი) სტანდარტული ჯიშები:	გამოხატვის ხარისხი: არ გააჩნია: Marathon, Sano

გამოხატვის ხარისხი: გააჩნია: Sonatine.

18. სამხრეთული ნემატოდისადმი (*Meloidogyne incognita*) გამძლეობა

ა) გარემოს ტიპი:	სენმომღებიანი ჯიშების ფესვებზე(სათბურებში მოყვანა);
ბ) სპეციალური მდგომარეობა (პირობები):	ფესვის ლპობისაგან დაცვა.
გ) ტესტის ჩატარება – ტემპერატურა:	არა უმეტეს 28°C;
დ) მოყვანის მეთოდი:	სათბური;
ე) ინოკულაციის მეთოდი	კვერცხის ფორმის ინვოზირებული მასალის შეტანა რიგებში (ტოტალურად ან სათეს ხაზებში);
ვ) ტესტის ხანგრძლივობა:	
ვ.ა) დათესვიდან ინოკულაციამდე	ინოკულაცია წინ უსწრებს თესვას;
ვ.ბ) ინოკულაციიდან აღრიცხვის სტადიამდე	30-დან 45 დღემდე;
ვ.გ) გამოსაცდელი მცენარეების რიცხვი:	10-დან 20-მდე;
ვ.დ) შენიშვნა:	გამოირიცხება ფესვების სიდამპლე და მაღალი ტემპერატურა ჰიბრიდებისათვის.
ზ) ჰეტეროზიგოტულ ჯიშებს შეიძლება ჰქონდეს გამოხატვის არც თუ ისე დაბალი დონე;	
თ) სტანდარტული ჯიშები:	სენმომღებლობა: Casaque Rouge, Clairvil გამძლეობა: Anabel, Anahu, F1 „Anahu x Monalbo“.

19. გამძლეობა ვერტიცილიუმისადმი (*Verticillium dahliae*) – რასა 0, კერების არსებობა:

ა) გარემოს ტიპი:	აგარის გარემოში;
ბ) სპეციალური მდგომარეობა (პირობები):	ერთხელ ყოველთვიურად გადარგვა;
გ) ტესტის ჩატარება:	
გ.ა) მცენარის განვითარების სტადია:	ლენის განვითარება
გ.ბ) ტემპერატურა:	დღე: 22°C, ღამე: 16-18°C;
გ.გ) განათება:	10 საათი დღეში.
დ) გამოყვანის მეთოდი:	სათბურში მაღალი ტენიანობის პირობებში;
ე) ინოკულაციის მეთოდი:	სოკოს კულტურულ, თხელ სუბსტრატში ფესვთა სისტემის დასველება, ფესვაკის წაჭრა და შემდეგ გადარგვა;
ვ) ტესტის ხანგრძლივობა:	
ვ.ა) დათესვიდან ინოკულაციამდე:	15-დან 20 დღემდე;
ვ.ბ) ინოკულაციიდან აღრიცხვის სტადიამდე	25-დან 30 დღემდე.
ზ) გამოსაცდელი მცენარეების რიცხვი	10-დან 20-მდე;
თ) შენიშვნა	Verticillium -ის მოქმედება გარეგან ნიშან-თვისებებზე და შინაგან ქურჭლებზე (მცენარის გამტარი სისტე-მა);
ი) ჰეტეროზიგოტულ ჯიშებს შეიძლება ჰქონდეს ნიშან-თვისების გამოხატვის მეტად დაბალი დონე;	
კ) სტანდარტული ჯიშები:	სენმომღებლობა: Anabel, Marmande verte გამძლეობა: Clairvil, Marmande VR, F1 `Marmande verte x Marmande VR`.

20. გამძლეობა ფუზარიოზული ჭკნობისადმი (*Fusarium oxysporum* f. sp. *lycopersici*) კერა 0 (ex 1) და კერა 1 (ex 2):

ა) გარემოს ტიპი:	აგარის გარემოში;
ბ) სპეციალური მდგომარეობა (პირობები):	22-25°C, ერთხელ ყოველთვიურად გადარგვა;
გ) ტესტის ჩატარება:	
გ.ა) მცენარის განვითარების სტადია:	ლენის განვითარება;
გ.ბ) ტემპერატურა:	დღე: 28°C, ღამე: 25°C;
გ.გ) განათება:	12 საათი დღეში.

დ) გამოყვანის მეთოდი:	სათბურში ან კლიმატურ კამერაში, მაღალი ტენიანობის პირობებში;
ე) ინოკულაციის მეთოდი:	სოკოს კულტურულ, თხელ სუბსტრატში ფესვთა სისტემის დასველება, ფესვაკის წაჭრა და შემდეგ გადარგვა;
ვ) ტესტის ხანგრძლივობა:	
ვ.ა) დათესვიდან ინოკულაციამდე	10-დან 20 დღემდე;
ვ.ბ) ინოკულაციიდან აღრიცხვის სტადიამდე	20-დან 25 დღემდე.
ზ) გამოსაცდელი მცენარეების რაოდენობა.	10-დან 20-მდე;
თ) შენიშვნა	ჩვენება: ჰეტეროზიგოტული ჯიშების გამოცდა საჭიროა ყურადღებით, ვინაიდან კერა 1 და კერა 0-ის გამოცდის დროს შეიძლება დაზიანდეს მხოლოდ ზოგიერთი მცენარეები;
ი) ჰეტეროზიგოტულ ჯიშებს შეიძლება ჰქონდეს ნიშან-თვისების გამოხატვის მეტად დაბალი დონე;	
კ) სტანდარტული ჯიშები:	სენმომდებლობა: Marmande verte გამძლეობა: 0: Anabel, Marporum, Marsol, F1 „Marsol x Marmande verte“ გამძლეობა 0 და 1: Motelle, Walter, F1 „Motelle x Monalbo“.

21. გამძლეობა წვერის და ფესვის სიდამპლისადმი (*Fusarium oxysporum* f. sp. *radicis lycopersici*):

ა) გარემოს ტიპი:	სინთეტიკური გარემო (თანახმად Messiaen);
ბ) სპეციალური მდგომარეობა (პირობები):	სიცივე 4°C;
გ) ტესტის ჩატარება:	
გ.ა) მცენარის განვითარების სტადია	მესამე ფოთლის წარმოქმნა;
გ.ბ) ტემპერატურა	დღე: 22°C, ღამე: 16°C;
გ.გ) განათება	12 საათი დღეში.
დ) გამოყვანის მეთოდი:	კლიმატური კამერა (ფიტოტრონი);
ე) ინოკულაციის მეთოდი:	ფესვების და მთავარი ღეროს წვერის დასველება 5 წუთით ინოკულიუმში. ინოკულაციის შემდეგ მცენარეთა გადარგვა ორთქლით დეზინფიცირებულ ქვიშაზე;
ვ) ტესტის ხანგრძლივობა:	
ვ.ა) დათესვიდან ინოკულაციამდე	18-დან 20 დღემდე;
ვ.ბ) ინოკულაციიდან აღრიცხვის სტადიამდე	10 დღე.
ზ) გამოსაცდელი მცენარეების რიცხვი	10-დან 20-მდე;
თ) შენიშვნა:	ერთხელ მაინც საჭიროა მცირე ხნით შეჩერება, რომ არ დაიკარგოს პათოგენოზი;
ი) სტანდარტული ჯიშები:	სენმომდებლობა: Motelle გამძლეობა: Mormor (ჰომოზიგოტა), F1 Mormor x Motelle (ჰეტეროზიგოტა), გენი Frl ჰეტეროზიგოტულ ფაზაში არ განაპირობებს კონტროლს დაავადებებზე.

22. გამძლეობა ფოთლების მუქი ლაქიანობისადმი (*Cladosporium fulvum*):

ა) გარემოს ტიპი:	სინთეტიკური გარემო;
ბ) სპეციალური მდგომარეობა (პირობები):	20-22°C, რგვა ყოველ ექვს კვირაში ერთხელ;
გ) ტესტის ჩატარება:	
გ.ა) მცენარის განვითარების სტადია	სამი ბოლომდე განვითარებული ფოთოლი;
გ.ბ) ტემპერატურა	დღე: 24°C, ღამე: 16°C;
გ.გ) განათება	12 საათი დღეში.
დ) გამოყვანის მეთოდი:	კლიმატური საკანი (ფიტოტრონი) ძალიან მაღალი ტენიანობა, ზრდის ფიქსირება ინოკულაციამდე რამდე-ნამე დღით დასველების გზით (ფესვების განზანა ALAR 85 daminazoide);
ე) ინოკულაციის მეთოდი:	ფოთლებზე სოკოს სპორებიანი სუსპენზიის შესხურება;
ვ) ტესტის ხანგრძლივობა:	

ვ.ა) დათესვიდან ინოკულაციამდე	22-დან 25 დღემდე;
ვ.ბ) ინოკულაციიდან აღრიცხვის სტადიამდე	20-დან 25 დღემდე.
ზ) გამოსაცდელი მცენარეების რაოდენობა	30;
თ) შენიშვნა	ნიშან-თვისებათა გამოხატვის ხარისხი შეიძლება შეიცვალოს მცენარეთა შორის მდგრადობის ალელების გამო;
ი) სტანდარტული ჯიშები:	სენმიმდებლობა: Monalbo. გამძლეობა: საჭიროა შეირჩეს ხსენებული ალელების შესაბამისად cf1: Stirling Castle cf2: Vetomold cf3: V 121 cf4: Purdue 135 cf5: IVT 1149 cf2 cf4: Vagabond cf2 cf5: F1 „Vetomold x IVT 1149“ cf2 cf4 cf5: F1 „Vagabond x IVT 1149“ cf6: F 77-38 cf9: IVT 1154 რასა0: Angela, Estrella, Sonatina, Sonato, Vemone ჯგუფი ა: Angela, Estrella, Sonatina, Sonato ჯგუფი ბ: Angela, Estrella, Sonatina, Sonato, Vemone ჯგუფი გ: Angela, Estrella, Sonatina ჯგუფი დ: Estrella, Sonatina, Vemone jgufi e: Sonatina.

23. გამძლეობა თამბაქოს ვირუსული მოზაიკისადმი:

ა) გარემოს ტიპი:	მცენარეებზე ან მშრალ ფოთლებზე;		
ბ) სპეციალური მდგომარეობა (პირობები):	გაყინვა ან BOS მეთოდი;		
გ) იდენტიფიკაცია:	გამოყენებულ იქნეს შტამი 0, რომელიც იწვევს ჯიშების ნეკროზს Tm2 ² . ალელთან ერთად;		
დ) ტესტის ჩატარება:			
დ.ა) მცენარის განვითარების სტადია:	განვითარებული ლებანი;		
დ.ბ) ტემპერატურა	დღე: 30 -დან 35°C, ღამე: 25 -დან 30°C;		
დ.გ) განათება	12 საათი დღეში.		
ე) გამოყვანის მეთოდი:	სათბური;		
ვ) ინოკულაციის მეთოდი	მექანიკური, ლებნების გაწმენდა;		
ზ) ტესტის ხანგრძლივობა:			
ზ.ა) დათესვიდან ინოკულაციამდე	12-დან 14-დღემდე;		
ზ.ბ) ინოკულაციიდან აღრიცხვის სტადიამდე	10-დან 12-დღემდე.		
თ) გამოსაცდელი მცენარეების რაოდენობა	15-დან 30 -მდე.		
ი) შენიშვნა	ნიშან-თვისებათა გამოხატვის ხარისხი შეიძლება იცვლებოდეს მცენარეთა შორის ალელების მდგრადობის გამო.		
კ) სტანდარტული ჯიშები:	სენმიმდებლობა: Monalbo გამძლეობა:		
	- ალელისადმი		სენმიმდებლობა კერისადმი
	Tm 1:	Mobaci	შტამი 0 და 2
	Tm 2:	Moperou	შტამი 0 და 1
	Tm 2 ² :	Momor-Rapids	შტამი 0, 1 2 და 1-2
	Tm 1 - Tm 2 ² :	Mocimor	შტამი 0, 1 2 და 1-2

	Tm 22/±:	Momor x Monalbo	შტამი 0, 1 2 და 1-2
--	----------	-----------------	---------------------

24. გამძლეობა ფიტოფტორისადმი (*Phytophthora infestans*):

ა) გარემოს ტიპი:	აგარის გარემო.
ბ) სპეციალური მდგომარეობა(პირობები):	18°C.
გ) ტესტის ჩატარება:	
გ.ა) მცენარის განვითარების სტადია:	10 განვითარებული ფოთოლი;
გ.ბ) ტემპერატურა:	18°C;
გ.გ) განათება:	ინოკულაციის შემდეგ სიბნელე 24 სთ. განმავლობაში, შემდეგ დღეში 10 სთ.
დ) გამოყვანის მეთოდი:	კლიმატური კამერა(ფიტოტრონი);
ე) ინოკულაციის მეთოდი	სოკოს სპორების შესხურება, კერების გამოყენება, რომელიც ინფიცირებულია ინოკულაციამდე 3 კვირით ადრე;
ვ) ტესტის ხანგრძლივობა:	
ვ.ა) დათესვიდან ინოკულაციამდე	6- დან 7-კვირამდე;
ვ.ბ) ინოკულაციიდან აღრიცხვის სტადიამდე	7-დან 8-კვირამდე;
ვ.გ) ტენიანობა:	ინოკულაციის შემდეგ ოთხი დღის განმავლობაში ძალიან მაღალი.
ზ) შენიშვნა:	ჰეტეროზიგოტულმა ჯიშებმა შეიძლება ნიშან-თვისებათა გამოხატვის დაბალი ხარისხი გამოავლინონ;
თ) სტანდარტული ჯიშები:	სენმიმდებლობა: Sain Pierre, Heinz 1706 გამძლეობა: Peraline, Heline, Pyros, F1 `Pieraline x Peralbo`.

25. გამძლეობა ფესვის გაკორპებისადმი (*Pyrenochaeta lycopersici*):

ა) პირველი მეთოდი:	სათბურში ბუნებრივი დონით დასნეზოვნებულ (ან ბუნებრივ დონემდე მიყვანილი დასნეზოვნებით) ნიადაგებზე გამოზრდილი მცენარეებისაგან მიღებულ ფესვებზე;
ბ) მეორე მეთოდი:	ინოკულიუმის გამოზრდა კვიშაზე ან ქერის ფკვილ-ში შერეულ და ავტოკლავში სტერილიზებულ წუნწახზე (ხელოვნური დასენიანება);
გ) ტესტის ჩატარება:	
გ.ა) მცენარის განვითარების სტადია:	პირველი მეთოდი: გაზრდილ მცენარეებზე ნაყოფის სიმწიფის მიახლოებით სტადიაში. მეორე მეთოდი: 4 ან 6 კვირა დათესვის შემდეგ (ყვავილედის პირველი ყვავილობა);
გ.ბ) ტემპერატურა:	დღე: 24°C, ღამე 14°C;
გ.გ) განათება:	მინიმუმ 12 სთ დღეში.
დ) გამოყვანის და ინოკულაციის მეთოდი:	პირველი მეთოდი: მცენარე იზრდება დასნეზოვნებულ ნიადაგზე, რომელშიც არეულია დასნეზოვნებული დაჭრილი ფესვები; მეორე მეთოდი: მცენარის დათესვა ორთქლით წინასწარ დეზინფიცირებულ სილა-ნეშომპალის სუბსტრატზე, რომელშიც შერეულია ინოკულიუმი;
ე) ტესტის ხანგრძლივობა:	
ე.ა) დათესვიდან ინოკულაციამდე	პირველი მეთოდი: 6 კვირა, მეორე მეთოდი: თესვის დროს;
ე.ბ) ინოკულაციიდან აღრიცხვის სტადიამდე	პირველი მეთოდი: 3-დან 4 თვემდე მეორე მეთოდი: 4-დან 6 კვირამდე.
ვ) გამოსავლელი მცენარეების რაოდენობა:	მინიმუმ 10;
ზ) შენიშვნა:	პირველი მეთოდი ეფექტურია მცენარის სენმიმდებლობის გამოსავლენად.

	მეორე მეთოდის გამოყენება აუცილებელია ნორჩი მცენარის ფესვებზე ინოკულაციამდე პათოგენი შტამების ფონზე.
თ) სტანდარტული ჯიშები:	სენმიმდებლობა: Montfavet H 63.5 გამძლეობა: Kyndia, Moboglan, Pyrella.

26. ფოთლების გამძლეობა გოგირდოვანი ლაქიანობისადმი (*Stemphylium* spp.):

ა) გარემოს ტიპი:	სინთეტიკური გარემო;
ბ) სპეციალური მდგომარეობა (პირობები)	სიცივე 4°C, განათების გარეშე;
გ) ტესტის მიმდინარეობა:	
გ.ა) მცენარის განვითარების სტადია:	3 განვითარებული ფოთოლი;
გ.ბ) ტემპერატურა:	მუდმივად, დღე: 24°C, ღამე: 24°C;
გ.გ) განათება:	12 საათი დღეში.
დ) გამოყვანის მეთოდი:	კლიმატური კამერა (ფიტოტრონი);
ე) ინოკულაციის მეთოდი:	შესხურება(პულვერიზაცია) ფოთლებზე;
ვ) ტესტის ხანგრძლივობა:	
ვ.ა) დათესვიდან ინოკულაციამდე	20-დან 22 დღემდე;
ვ.ბ) ინოკულაციიდან აღრიცხვის სტადიამდე	10 დღემდე;
ვ.გ) გამოსაცდელი მცენარეების რაოდენობა.	30.
ზ) შენიშვნა:	ინოკულიუმის მომზადება განათების V8 გარემოში;
თ) სტანდარტული ჯიშები:	სენმიმდებლობა: Monalbo გამძლეობა: Motelle, F1 Motelle x Monalbo.

27. გამძლეობა ფოთლების ბაქტერიული ლაქიანობისადმი (*Pseudomonas syringae* pv. tomato):

ა) გარემოს ტიპი:	KING B -ის გარემო;
ბ) სპეციალური მდგომარეობა(პირობები)	20-22°C სიბნელეში, გადარგვა ყოველ 10 დღეში;
გ) ტესტის მიმდინარეობა:	
გ.ა) მცენარის განვითარების სტადია:	3 განვითარებული ფოთოლი;
გ.ბ)ტემპერატურა:	დღე: 22°C,ღამე: 16°C;
გ.გ)განათება:	12 საათი დღეში.
დ) გამოყვანის მეთოდი:	ზაფხულში კლიმატური კამერა(ფიტოტრონი), ზამთარში სათბური;
ე) ინოკულაციის მეთოდი:	შესხურება (პულვერიზაცია) ფოთლებზე;
ვ) ტესტის ხანგრძლივობა::	
ვ.ა) დათესვიდან ინოკულაციამდე	20-დან 22 დღემდე;
ვ.ბ) ინოკულაციიდან აღრიცხვის სტადიამდე	8 დღემდე.
ზ) გამოსაცდელი მცენარეების რაოდენობა.	30;
თ) შენიშვნა:	კერების შეცვლა ყოველწლიურად;
ი) სტანდარტული ჯიშები:	სენმიმდებლობა: Monalbo გამძლეობა:: Ontario 7710, F1 Monalbo x Ontario 7710.

28. გამძლეობა ბაქტერიული ჭკნობისადმი (*Ralstonia solanacearum* (*Pseudomonas solanacearum*), (ორ კერას შეუძლია პომიდორის მცენარის დაზიანება: კერა 1 (აქტიურია 25-30 გრადუსზე) და კერა 3 (აქტიურია 20-23 გრადუსზე):

ა) გარემოს ტიპი	გაყინვა-80°C; კულტივირება PYDAC, რომელიც ზეთზეა დამზადებული და სუსპენზირდება სტერილურ, დისტირირებულ წყალში;
ბ) სპეციალური მდგომარეობა (პირობები):	კონსერვაცია 15°C სტერილურ დისტირირებულ წყალში;
გ) ტესტის მიმდინარეობა:	

გ.ა) მცენარის განვითარების სტადია:	3- 4 ბოლომდე განვითარებული ფოთოლი;
გ.ბ) ტემპერატურა (კლიმატურ კამერაში)	დღე: 26-30°C, ღამე: 25°C;
გ.გ) განათება:	10-12 საათი დღეში.
დ) გამოყვანის მეთოდი:	ორი შესაძლებლობა: - კლიმატურ კამერაში: სწრაფი გამოცდა; - ღია გრუნტში: ხანგრძლივი გამოცდა (მისაღებია მხოლოდ ტროპიკული კლიმატისათვის);
ე) ინოკულაციის მეთოდი:	უკიდურეს შემთხვევაში 2 მლ. ინოკულიუმის დადება, (რომელიც შეიცავს 10 ⁷ ბაქტერიულ უჯრედს თითოეულ მილილიტრზე) ყოველი ფოთოლაკის ფუძესთან დარგვამდე;
ვ) ტესტის ხანგრძლივობა:	
ვ.ა) დათესვიდან ინოკულაციამდე	3-დან 4 კვირამდე;
ვ.ბ) ინოკულაციიდან აღრიცხვის სტადიამდე	- 3 კვირა სწრაფი გამოცდისას - 2 თვე ხანგრძლივი გამოცდისას.
ზ) გამოსაცდელი მცენარეების რაოდენობა	მინიმუმ 30;
თ) შენიშვნა:	მაღალი ტენიანობის შენარჩუნება;
ი) სტანდარტული ჯიშები:	სენმიმდებლობა: Floradel გამძლეობა: Caraiibo.

29. პომიდვრის გამძლეობა ვირუსის – ფოთლის ყვითელი ნაგალობისადმი (TYLCV):

ა) ტესტის მიმდინარეობა	მცენარე იცდება მინდვრის პირობებში, შეისწავლება დრო და ადგილი რგვის იქ, სადაც გამოვლინდა დაავადება. გამოჰყავთ 100% დაავადებული მცენარეები ადგილობრივი მგრძნობიარე ჯიშების, რომ გარანტირებული იყოს ბუნებრივად გადადება ფრთათეთრების და შედეგის განმეორების;
ბ) მცენარის განვითარების სტადია:	მინდვრის კულტურის ზრდასრულ მცენარეებზე;
გ) ინოკულაციის მეთოდი:	ჩვეულებრივი დასნებოვნება ფრთათეთრით;
დ) ტესტის ხანგრძლივობა:	
დ.ა) დათესვიდან ინოკულაციამდე	მინიმუმ 6 კვირა;
დ.ბ) ინოკულაციიდან აღრიცხვის სტადიამდე	მაქსიმუმ 2,5 კვირა.
ე) გამოსაცდელი მცენარეების რაოდენობა	მინიმუმ 20;
ვ) შენიშვნა:	სენმიმდებლობა: ადგილობრივი ჯიშები;
ზ) სტანდარტული ჯიშები:	გამძლეობა: TY 20 L. pimpinellifolium ან L. peruvianum.

30. გამძლეობა ბრინჯაოსფერი დაფერილობისადმი (ლაქების ჭკნობა):

ა) გარემოს ტიპი	პომიდვრის მცენარეზე ან გაყვნილ მდგომარეობაში-70°C;
ბ) ტესტის მიმდინარეობა:	
ბ.ა) მცენარის განვითარების სტადია:	1 ან 2 განვითარებულ ფოთოლზე;
ბ.ბ) ტემპერატურა:	დღე: 20°C, ღამე: 20°C;
ბ.გ) განათება:	დამატებითი განათება ზამთარში.
გ) გამოყვანის მეთოდი:	სათბური;
დ) ინოკულაციის მეთოდი:	მექანიკური, ლეხანთესლების გაწმენდა კარბორუნდით, ინოკულიუმის სითხის ტემპერატურა 10°C-ზე ნაკლები;
ე) ტესტის ხანგრძლივობა:	
ე.ა) დათესვიდან ინოკულაციამდე	20დღე;
ე.ბ) ინოკულაციიდან აღრიცხვის სტადიამდე	14-დან 20 დღემდე.
ვ) გამოსაცდელი მცენარეების რაოდენობა	15-დან 30-მდე;
ზ) შენიშვნა:	თრიფსების გავლენა არ იქნება გათვალისწინებული;

თ) სტანდარტული ჯიშები:	სენმომღებლობა: Monalbo გამძლეობა: Tsunami, Bodar.
------------------------	--

31. გამძლეობა ნაცრის გამომწვევი სოკოებისადმი (*Leveillula taurica*):

ა) გარემოს ტიპი	პომიდვრის მცენარე;
ბ) ტესტის მიმდინარეობა, მცენარის განვითარების სტადია:	მინდვრის კულტურის ზრდასრულ მცენარეებზე;
გ) ინოკულაციის მეთოდი:	ბუნებრივი დასნებოვნება;
დ) ტესტის ხანგრძლივობა:	
დ.ა) დათესვიდან ინოკულაციამდე	დასნებოვნება შეიძლება დარგვიდან მცენარის სრულ განვითარებამდე;
დ.ბ) ინოკულაციიდან აღრიცხვის სტადიამდე	მოსავლის აღებამდე.
ე) გამოსაცდელი მცენარეების რაოდენობა:	20;
ვ) შენიშვნა:	ყვითელი ქლოროზიანი ლაქა ფოთლის ზედა მხარეს, მიცელიუმის ფოთლის ქვედა მხარეს. საჭიროა მიკროსკოპით დადგინდეს, ეს ნამდვილად <i>Leveillula</i> არის თუ სხვა ფხვნილის მსგავსი (powdery) ნამდვილი ნაცარი;
ზ) სტანდარტული ჯიშები:	სენმომღებლობა: Monalbo გამძლეობა: Atlanta.

32. გამძლეობა ნაცრისადმი (*Oidium lycopersi*):

ა) გარემოს ტიპი:	პომიდვრის მცენარე;	
ბ) სპეციალური მდგომარეობა(პირობები):	კლიმატური კამერა (ფიტოტრონი);	
გ) მცენარის განვითარების სტადია:	3 კვირა;	
დ) ტემპერატურა:	24°Cდღის განმავლობაში. 18°C ღამის განმავლობაში;	
ე) განათება:	12 საათი დღეში;	
ვ) ინოკულაციის მეთოდი:	- შესხურება ფოთლებზე (10 ⁴ კონიდი/მლ); - ფოთლების გაჟუღვრა (უკონტროლო ინოკულირება);	
ზ) ტესტის ხანგრძლივობა:		
ზ.ა) დათესვიდან ინოკულაციამდე	18-20-დღე;	
ზ.ბ) ინოკულაციიდან აღრიცხვის სტადიამდე	15-18 – დღე;	
ზ.გ) გამოსაცდელი მცენარეების რაოდენობა	30 მცენარე დანაყოფზე.	
თ) შენიშვნა: ინდექსების შკალა	სპორები არ წარმოიქმნება	
	სპორები წარმოიქმნა და არ გავრცელდა. (ათვლის წერტილი) სპორები წარმოიქმნა დასაშვები ნორმის ფარგლებში სპორები წარმოიქმნა უხვად	გამძლეობა სენმომღებლობა
ი) სტანდარტული ჯიშები:	სენმომღებლობა: Motor (L. <i>esculentum</i>) გამძლეობა: L. <i>hirsutum</i> P 1247087 (მისაწვდომი).	

ანკეტა

1. კულტურა პომიდორი
(ქართული დასახელება)

Lycopersicum esculentum L
(ლათინური დასახელება)

2. განმცხადებელი _____ (სახელი, გვარი, მისამართი) _____

3. ჯიშის დასახელება _____

4. ინფორმაცია ჯიშის გამოყვანაზე, წარმოშობაზე და გამრავლებაზე.

გამოყვანის და გამრავლების ხერხი:

ა) ვეგეტატიური გამრავლება []

ბ) თესლით გამრავლება []

გ) ჰიბრიდი []

დ) ჯიში []

5. სხვა ინფორმაცია.

6. ჯიშის ნიშან-თვისებები (რიცხვები ფრჩხილებში შეესაბამებიან ნიშნის ნომერს
ნიშან-თვისებების ცხრილში) მიეთითება კვადრატულ ფრჩხილებში.

ნიშან-თვისება	ინდექსი	გამოხატვის ხარისხი	ეტალონი ჯიში
1. (2) მცენარე: ზრდის ტიპი	1[] 2[]	დეტერმინანტული ინდეტერმინანტული	Campbell 1327, Prisca Marmande VR, Saint-Pierre, San Marzano 2
2. (9) ფოთოლი: განკვეთილობა.	1[] 2[]	ფრთისებრი ორმაგფრთისებრი.	Pilot, Red Jacket, Mikado Lukullus, Saint-Pierre
3. ყვავილის ყუნწი: (20) განცალკევებული შრე	1[] 9[]	არ გააჩნია გააჩნია	Aledo, Bandera, Count, Lerica Montfavet H 63.5, Roma
4. (2 2) ნაყოფი: ზომა	1[] 3[] 5[] 7[] 9[]	ძალიან წვრილი წვრილი საშუალო მსხვილი ძალიან მსხვილი	Cerise, Sweet 100 Early Mech, Europeel, Roma Alphamech, Diego Carmello, Ringo Erlidor, Lydia, Muril

ნიშან-თვისება		ინდექსი	გამოხატვის ხარისხი	ეტალონი ჯიში
5. (24)	ნაყოფი: გრძივი კვეთის ფორმა	1[] 2[] 3[] 4[] 5[] 6[] 7[] 8[] 9[] 10[]	ბრტყელი მრგვალად ბრტყელი მრგვალი კუბისებური ცილინდრული ელიფსური გულისებური უკუკვერცხისებური კვერცხისებრი მსხლისებური	Campbell 28, Marmande VR Montfavit H 63.5, Montfavit H 63.4 Cerise Money-maker Early Mech, Peto Gro Hypeel 244, Macero II, San Marzano 2 Alcaria, Castone Valenciano Barbara Rimone, Rio Grande Europeel
6. (25)	ნაყოფი: ნაყოფის ყუნწის წიბო.	1[] 3[] 5[] 7[] 9[]	არ გააჩნია ან ძალიან სუსტი სუსტი საშუალო ძლიერი ძალიან ძლიერი	Calimo, Cerise Early Mech, Hypeel 244, Melody, Peto Gro, Rio Grande Montfavit H 63.5, Montfavit H 63.4 Campbell 1327, Carmello, Count Costeluto Fiorentino, Marmande VR
7. (33)	ნაყოფი: საკნების რაოდენობა.	1[] 2[] 3[] 4[] 5[]	ორი ორი ან სამი სამი ან ოთხი ოთხი, ხუთი ან ექვსი ექვსზე მეტი.	Early Mech, Europeel, San Marzano Alphamech, Futuria Montfavit H 63.5 Raïssa, Tradiro Marmande VR
8. (34)	ნაყოფი: მწვანე წინწკლი დასაწყისში (სიმწიფის წინ)	1[] 9[]	არ გააჩნია გააჩნია	Rio Grande, Felicia, Trust Montfavit H 63.5, Daniela
9. (38)	ნაყოფი: შეფერილობა სიმწიფისას.	1[] 2[] 3[] 4[] 5[] 6[]	კრემისფერი ყვითელი ნარინჯისფერი ვარდისფერი წითელი მოყავისფრო	Jazon, White Mirabell Goldene Königin, Yellow Pear Sungold House Momotaro Ferline, Montfavit H 63.5, Daniela Ozyrys
10 (40)	ნაყოფი: სიმკვრივე	1[] 3[] 5[] 7[] 9[]	ძალიან რბილი რბილი საშუალო მაგარი ძალიან მაგარი	Marmande VR Trend Cristina Fernova, Konsul, Tradiro Daniela, Karat, Lolek

7. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავებები

მსგავსი ჯიშის დასახელება	ნიშნები, რომლითაც განაცხადის ჯიში განსხვავდება მსგავსისაგან	ნიშნის გამოხატვის ხარისხი	
		მსგავსი ჯიში	კანდიდატი ჯიში

8. დამატებითი ინფორმაცია, რომელიც დაგვეხმარება ჯიშთა გამოცდაში. მავნებელ-დაავადებებისადმი გამძლეობა

	არ გააჩნია	გააჩნია	არ გამოცდილა
ა) სამხრეთული ნემატოდა (<i>Meloidogyne incognita</i>) (ნიშან-თვისება 46)	☐	☐	☐
ბ) ვერტიცილიოზი (<i>Verticillium dahliae</i>) –რასა 0 (ნიშან-თვისება 47)	☐	☐	☐
გ) ფუზარიოზული ჭკნობა (<i>Fusarium oxysporum</i> f. sp. <i>lycopersici</i>):			
გ.ა) რასა 0 (ex 1) (ნიშან-თვისება 48)	☐	☐	☐
გ.ბ) რასა 1 (ex 2) (ნიშან-თვისება 48)	☐	☐	☐
დ) წვერის და ფესვის სიდამპლე (<i>Fusarium oxysporum</i> f. sp. <i>radicis lycopersici</i>) (ნიშან-თვისება 49)	☐	☐	☐
ე) ფოთლების მუქი ლაქიანობა (<i>Cladosporium fulvum</i>):			
ვ) რასა 0 (ნიშან-თვისება 50)	☐	☐	☐
ზ) ჯგუფი ა (ნიშან-თვისება 50)	☐	☐	☐
თ) ჯგუფი ბ (ნიშან-თვისება 50)	☐	☐	☐
ი) ჯგუფი გ (ნიშან-თვისება 50)	☐	☐	☐
კ) ჯგუფი დ (ნიშან-თვისება 50)	☐	☐	☐
ლ) ჯგუფი ე (ნიშან-თვისება 50)	☐	☐	☐
მ) თამბაქოს მოზაიკის ვირუსი	☐	☐	☐
ნ) პათოტიპი 0 (ნიშან-თვისება 51)	☐	☐	☐
ო) პათოტიპი 1 (ნიშან-თვისება 51)	☐	☐	☐
პ) პათოტიპი 2 (ნიშან-თვისება 51)	☐	☐	☐
ჟ) ფიტოპტორიოზი (<i>Phytophthora infestans</i>) (ნიშან-თვისება 52)	☐	☐	☐
რ) ფესვის გაკორპება (<i>Pyrenochaeta lycopersici</i>) (ნიშან-თვისება 53)	☐	☐	☐
ს) ფოთლების რუხი ლაქიანობა (<i>Stemphylium spp.</i>) (ნიშან-თვისება 54)	☐	☐	☐
ტ) ფოთლების ბაქტერიული ლაქიანობა (<i>Pseudomonas syringae</i> pv. <i>tomato</i>) (ნიშან-თვისება 55)	☐	☐	☐
უ) ბაქტერიული ჭკნობა (<i>Ralstonia solanacearum</i>) –რასა 1 (ნიშან-თვისება 56)	☐	☐	☐
ფ) ყვითელი ფოთლის ნაგალობის პომიდვრის ვირუსი (ნიშანი 57)	☐	☐	☐
ქ) ბრინჯაოსფერი დაფერილობა (ლაქების ჭკნობა) (ნიშანი 58)	☐	☐	☐
ღ) ნაცრის გამომწვევი სოკოები (<i>Leveillula taurica</i>) (ნიშან-თვისება 59)	☐	☐	☐
ყ) ნაცარი (<i>Oidium lycopersi</i>) (ნიშან-თვისება 60)	☐	☐	☐
შ) სხვა (განსაზღვრეთ ზუსტად)	☐	☐	☐

9. ჯიშის გამოცდის განსაკუთრებული პირობები:

- ა) კულტურის ტიპი: სათბურის, ღია გრუნტის, სარის, ასაკრავი, აკვრის გარეშე;
 ბ) გამოყენების მიმართულება: უმად მოსახმარი, სამრეწველო გადამუშავების-თვის, მთლიანი ნაყოფების დაკონსერვება, წვენების დამზადება, ქოთნის კულტურა;
 გ) სხვა პირობები:

დ) სხვა ინფორმაცია: _____

10. ნებართვა.

ა) საჭიროა თუ არა ჯიშზე წინასწარი ნებართვა, რათა დაშვებულ იქნეს მისი თესვა-მოყვანა კონკრეტულ პირობებში, თანახმად ბუნების დაცვის და სხვა კანონებისა?

დიახ [] არა []

ბ) მიღებული არის თუ არა ასეთი ნებართვა?

დიახ [] არა []

გ) თუ მიღებულია, დაურთეთ ნებართვის ასლი.

თარიღი „—“ —————წ.

ხელმოწერა—————